საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION
NEWS სექტემბერი 2015
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

ერწოს დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია დაიწყო

14 სექტემბერი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციამ“ თიანეთის მუნიციპალიტეტში ერწოს დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია დაიწყო.
სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილი და შპს "საქართველოს მელიორაციის" გენერალური დირექტორი ლევან დვალი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორ ნუგზარ ყიფიანთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნენ.

ერწოს დამშრობ სისტემაზე სამუშაოები ორ ათეულ წელზე მეტია არ ჩატარებულა. მიმდინარე წლის აგვისტოში სარეაბილიტაციო პროექტის პირველი ეტაპი დაიწყო, რომელიც მდინარე აძიძის კალაპოტის ნატანი და ნალექი გრუნტისაგან გაწმენდას ითვალისწინებს. მიმდინარეობს სამუშაოების მომდევნო ეტაპების პროექტირება.

ობიექტის სრული რეაბილიტაციის შემდეგ თიანეთის მუნიციპალიტეტის 14 სოფლის მოსახლეობას დაახლოებით 3 000 ჰექტარ ტერიტორიაზე საშუალება მიეცემა აწარმოონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

გარდა აღნიშნული პროექტისა, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, დუშეთის მუნიციპალიტეტში ნარეკვავის წყალსაცავის რეაბილიტაციაც მიმდინარეობს.
შპს „საქართველოს მელიორაცია“ დღეისათვის საქართველოს მასშტაბით სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 25 ობიექტზე ახორციელებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

ფიროსმანის მექანიკური მორწყვის სისტემების რეაბილიტაცია დაიწყო

2 ოქტომბერი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციამ“ კახეთის რეგიონში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ფიროსმანის მექანიკური მორწყვის სისტემების რეაბილიტაცია დაიწყო. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ახალი 4,34 კმ-იანი სადაწნეო მილსადენი, აშენდება სატუმბი სადგური. პროექტის დასრულების შემდეგ, 2016 წლის სარწყავი სეზონისათვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ორი სოფლის მოსახლეობა ისარგებლებს წყლით დაახლოებით 1 200 ჰექტარი სავარგულების მოსარწყავად. პროექტის ღირებულებაა 5 000 000 ლარი. გარდა აღნიშნული პროექტისა, შპს „საქართველოს მელიორაცია“ კახეთის რეგიონში დღეისათვის სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 8, ხოლო საქართველოს მასშტაბით 25 სარეაბილიტაციო პროექტს ახორციელებს.

საქართველოს მელიორაციაში სტუდენტებმა სტაჟირება გაიარეს

9 ოქტომბერი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციის“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინიციატივით, კომპანიაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტის სტუდენტთა სტაჟირება ჩატარდა, რომელიც ფაკულტეტის 18-მა სტუდენტმა გაიარა.

სტაჟირების პერიოდში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კომპანიის სერვის ცენტრებში და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, დასწრებოდნენ სამელიორაციო ინფრასტრუქტურის საექსპლუატაციო სამუშაოებს და ასევე, გაცნობოდნენ კომპანიის ორგანიზაციული მართვის პროცესს. სტაჟირების დასრულებისას სტუდენტებს სპეციალური სერტიფიკატები გადაეცათ.

შპს „საქართელოს მელიორაცია“ 2012 წლიდან მასშტაბურ სარეაბილიტაციო და საექსპლუატაციო სამუშაოებს ატარებს, რის შედეგადაც, ყოველწლიურად იზრდება კომპანიის მომსახურების არეალი. შედეგად, ეს დარგი დასაქმების პერსპექტივის თვალსაზრისითაც უფრო საინტერესო ხდება. სტუდენტების უშუალოდ ჩართვა სამუშაო პროცესში, კი, ხელს უწყობს სტუდენტებს მომავალი სპეციალობის არჩევისას.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ გეგმავს, მომავალშიც შესთავაზოს სტუდენტებს კომპანიაში სტაჟირების გავლა, რათა მელიორაციის დარგის მოტივირებული და კომპეტენტური ახალგაზრდა სპეციალისტების რესურსით შევსებას შეუწყოს ხელი.

საერთაშორისო საინჟინრო კომპანიასთან ხელშეკრულება გაფორმდა

12 ოქტომბერი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციასა“ და „ეპტისა რუმინეთს“ შორის „ორიო“ გრანტის ფარგლებში, ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულების საფუძველზე ზემო სამგორის სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოებს კონსორციუმი „ეპტისა რუმინეთი“ განახორციელებს.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართელოს მელიორაციის გენერალურმა დირექტორმა, ლევან დვალმა და „ეპტისა რუმინეთის“ გენერალურმა დირექტორმა, ჰერარდო როის დე ლა პარა გონსალეს მოხენმა.

2014 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობასა და ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს NL AGENCY-ს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს უმსხვილესი სარწყავი და სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციისათვის, საქართველო გრანტის სახით მიიღებს 15,5 მილიონ ევროს. თვითდინებით სარწყავი ქსელი ემსახურება 30 000 ჰა-ზე მეტ ფართობს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ „საქართველოს მელიორაციის“, „ეპტისა რუმინეთის“ და ნიდერლანდების საელჩოს წარმომადგენლები.

ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის შედეგად, გარდაბნისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების 19 სოფლის 30 000 ჰა-ზე მეტი ფართობი იქნება უზრუნველყოფილი სარწყავი წყლით. აღნიშნული ფართობით ისარგებლებს 60 000 -მდე ბენეფიციარი.

სარწყავი და სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოში.

ბაკურციხის სატუმბი სადგურის აღდგენა-რეაბილიტაცია

31 ოქტომბერი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ კახეთის რეგიონში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში ახორციელებს ბაკურციხის მექანიკური მორწყვის სისტემის რეაბილიტაციას.

სატუმბი სადგურის რეაბილიტაციის დაწყებამდე, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, დავით გალეგაშვილმა და შპს „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს ბაკურციხის მოსახლეობასთან. კომპანიის გენერალურმა დირექტორმა, ლევან დვალმა, საპილოტე პროექტის პრეზენტაცია წარადგინა და მოსახლეობას ინფორმაცია მიაწოდა აღნიშნულ პროექტსა და წვეთური მორწყვის უპირატესობაზე.

მოსახლეობასთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყდა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ 580 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსარწყავად წყალმომხმარებლები ირიგაციის თანამედროვე მეთოდს - წვეთური ირიგაციის სისტემებს გამოიყენებენ. ირიგაციის ეს მეთოდი მორწყვის ტრადიციულ, მიგდებით მორწყვით წესზე ბევრად მომგებიანია, ვინაიდან, ნაკლებ ელექტროენერგიასა და სარწყავ წყალს საჭიროებს. ამასთან, მნიშვნელოვნად ზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალს და აუმჯობესებს მის ხარისხს.

ბაკურციხის მექანიკური მორწყვის სისტემების რეაბილიტაცია მიმდინარე წლის ივნისში დაიწყო და ამავე წლის ბოლოს დასრულდება.

პროექტის ღირებულებაა 1 341 655 ლარი .

შპს „საქართველოს მელიორაცია“ დღეისათვის კახეთის რეგიონში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 8, ხოლო საქართველოს მასშტაბით 28 სარეაბილიტაციო პროექტს ახორციელებს.